საგანმანათლებლოპროგრამის სახელწოდება	**თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა / MA program in Defence Analysis**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	თავდაცვის ანალიზის მაგისტრი / MA in Defence Analysis
საგანმანათლებლო პროგრამისმოცულობა კრედიტებით	120 ECTS კრედიტი;
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა	ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს თავდაცვის ანალიზის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 120 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად: 105 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, მათ შორის კვლევითი კომპონენტი და 15 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები. (სულ შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 45). პროგრამით გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, რომელიც ნაწილდება სამაგისტრო ნაშრომსა (30 კრედიტი) და სამეცნიერო კვლევის პრაქტიკული სემინარს შორის (15 კრედიტი).
სწავლების ენა	ქართული (ცალკეული სასწავლო კურსები შესაძლებელია წაკითხულ იქნეს ინგლისურ ენაზე)
საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი დააქტუალობა	თანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს შეიარაღებული ძალები, დღის წესრიგში აყენებს ისეთი პროფესიონალების მომზადებას, რომელთაც ექნებათ ღრმა სისტემური ცოდნა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები თავდაცვის ანალიზის სპეციალიზაციით, შეეძლებათ ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა. ამ ყველაფერთან ერთად ხსენებული პროფილის სპეციალისტები უნდა ფლობდნენ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისთვის საჭირო უახლეს მეთოდებსა და ტექნიკებს.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება თავდაცვის ანალიზის სპეციალიზაციით. • კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ უპასუხონ საქართველოს თავდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებს. • მონაწილეობა მიიღონ სამხედრო პოლიტიკისა და თავდაცვითი სტრატეგიის დახვეწასა და მათ სათანადო განხორციელებაში. • გამოიყენონ მიღებული განათლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.
საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად: - მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებგვერდზე მისაღები გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე). საერთო

	სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. - სამხედრო მოსამსახურეები დამატებით აბარებენ სამეთაურო საშტაბო პროგრამის მისაღებ გამოცდას - კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ ინგლისური ენის გამოცდა (მინიმუმ CEF B2ან STANAG 2;2;2;2) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი. - გაიარონ გასაუბრება (მხოლოდ სამოქალაქო პირებისათვის) სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან: 1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები. ა) ,,მაიორი''-ს და ,,ვიცე-პოლკოვნიკი''-ს სამხედრო წოდებით - რომლებსაც გავლილი აქვთ კაპიტნის საკარიერო კურსი ან მასთან გათანაბრებული სამხედრო განათლების პროგრამა*, მინიჭებული აქვთ არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზღვრულ ასაკამდე დარჩენილი აქვთ არანაკლებ 5 წლისა და არ აქვთ დამთავრებული სამეთაურო საშტაბო კურსი ან/და მისი უცხოური ექვივალენტი; 2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) პირები, რომლებსაც გააჩნიათ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება. 3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო და სამოქალაქო პირების კვოტა არის 15. 3.1 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები - 8 სამხედრო მოსამსახურე. 3.2 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები - 7 სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე (შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) პირი. 4. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ სამხედრო მოსამსახურეებს რომელთაც წარმატებით გადალახეს საგამოცდო მინიმუმი მისაღებ გამოცდებში. თუკი ამგვარი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე. 5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების

	სამსახურიდან და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან წარმოდგენილი კანდიდატები პროგრამაზე ჩაირიცხებიან მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე. საგამოცდო მინიმუმის გადალახვის შემთხვევაში პრიორიტეტი ჩარიცხვაზე მიენიჭება სტრუქტურულ კუთვნილებას (თითოეული სტრუქტურიდან 1 პირი, რათა მიღწეულ იქნას მაქსიმალური წარმომადგენლობითი მრავალფეროვნება. 6. რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე). *შენიშვნა:* ** საქართველოს თავდაცვის მინისტრის 08/05/2014 წლის ნომერ MOD81400000595 ბრძანების თანახმად „ოფიცერთა სამხედრო განთლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“(მუხლი 12, 3-ე ქვეპუნქტი) ოფიცრებს ვიცეპოლკოვნიკის სამხედრო წოდებით, რომლებსაც სრულად არა აქვთ გავლილი ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების პროგრამები 2017 წლის ჩათვლით ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მისაღებ გამოცდებში და კონკურსის შედეგად ჩაირიცხონ აღნიშნულ პროგრამაზე.*

სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;	კურსდამთავრებულები მიიღებენ მრავალმხრივ განათლებას თავდაცვის ანალიზში, სოციალურ და სამხედრო მეცნიერებებში. კურსდამთავრებულებს ექნებათ: • თავდაცვის ანალიზის, კონცეფციებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას შეიმუშაონ ან მონაწილეობა მიიღონ ახალი მიდგომებისა და კონცეფციების შემუშავების პროცესში: • მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო მეთოდების ცოდნა; ეცოდინებათ პრობლემის გადაჭრის მეთოდოლოგია, ოპერატიული დიზაინი და ინფორმაციის მართვა. • თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების ცოდნა, რაც მისცემთ მათ ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. ისინი შეძლებენ დასახული ამოცანების შესრულებისა და წამოჭრილი პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო გზების გაცნობიერებას. • ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების ცოდნა და გაცნობიერება, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ სამხედრო გადაწყვეტილების პროცესისა და ოპერატიული დიზაინის წარმართვის სწორი მიმართულებების გაცნობიერებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	ცვალებად გარემოში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;	კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ნასწავლი მეთოდების შემოქმედებითად გამოყენება. სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მათ შეეძლებათ: • საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირება სრული სპექტრის ოპერაციებში • შესაფერისი მოდელებისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდების სწორად შერჩევა ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზისათვის. • საბრძოლო ძალის ელემენტების კოორდინირება კომპლექსური პრობლემების აღმოსაფხვრელად. დეცენტრალიზებული მართვის პირობებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. • მონაცემებისა და მტკიცებულებების დამუშავება ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს ალტერნატივებს გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის • თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობის მიღება და ამ მიმართულებით კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება. სამხედრო სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად სხვადასხვა ალტერნატივების იდენტიფიცირება და მათი განხორციელების დაგეგმვა; • უსაფრთხოების საკითხების გადაჭრის მიზნით ორიგინალური გზების ძიება, მათი გამოცდა და შეფასება • თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების გამოყენება დასახული ამოცანების შესასრულებლად და წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად • ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების საფუძველზე სამხედრო გადაწყვეტილების პროცესის და ოპერატიული დიზაინის სწორი გზით წარმართვა
დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის, უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის სინთეზი;	კურსდამთავრებული შეძლებს: • ინფორმაციის მართვას და ანალიზს სრული სპექტრის ოპერაციების დროს • სწრაფად ცვალებად გარემოში, არასრული ინფორმაციული სურათის პირობებშიც კი კრიტიკული აზროვნების საფუძველზე სწორი და ლოგიკურად არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას • რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების სიღრმისეულ ანალიზს; • თავდაცვის ანალიზის მიმართულებით მონაცემების თავმოყრას, დახარისხებას და სინთეზს და გადაწყვეტილებების მიღებისას მეორე და მესამე რიგის ეფექტების გათვალისწინებას

		• პირველადი ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისთვის სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებას; მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული საფუძვლიანი დასკვნების ჩამოყალიბებასა და დაცვას; • თეორიებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით პრობლემებისა და კონფლიქტების გამოვლენას ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და კანონის გატარების დროს; სამხედრო და პოლიტიკური თეორიების გამოყენებით ამომწურავი ანალიზის ჩატარებას; • მონაცემებთან დაკავშირებით დასკვნების თავმოყრას, გაანალიზებასა და ჩამოყალიბებას სათანადო სისტემებისა და მეთოდების გამოყენებით.
კომუნიკაციის უნარი	საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;	კურსდამთავრებული შეძლებს: • რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით კვლევის წარმოების დროს იდეების, ინფორმაციის, მონაცემებისა და თეორიების სინთეზს. ექსპერტებისა და თავდაცვის ანალიზით დაინტერესებული პირებისთვის საკუთარი კვლევის შედეგების ლოგიკურ, სტრუქტურირებულ და თანამიმდევრულ გადაცემას როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით; • დეტალური წერილობითი მოხსენებებისა და რეკომენდაციების მომზადებას, რომლებიც უკავშირდება თავდაცვის ანალიზის, პოლიტიკას და უსაფრთხოების საკითხებს. პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას; თავდაცვის ანალიზით დაინტერესებული პირებისა და ამ მიმართულებით მომუშავე ექსპერტებისთვის, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის, კომუნიკაციის უახლესი საშუალებების გამოყენებით; • თავდაცვის ანალიზისა და ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების არგუმენტირებულად განხილვას; რეკომენდაციების გასაცემად და მათ სისწორეში დასარწმუნებლად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას; • პროფესიული და ანალიტიკური საკითხების შესახებ დეტალური წერილობითი მოხსენების მომზადებას, • თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე დებატების დროს საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად ფორმულირებას და არგუმენტირებულ დაცვას.
სწავლის უნარი	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;	კურსდამთავრებული შეძლებს: • სწავლის პროცესის თანმიმდევრულად წარმართვას და შემდგომი სასწავლო მოთხოვნების დამოუკიდებლად განსაზღვრას; • საკუთარი ცოდნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; • სწავლის პროცესში კონკრეტული ნაკლოვანებების განსაზღვრას და მათ

		აღმოსაფხვრელად ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მომზადებას.
ღირებულებები	ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.	კურსდამთავრებული შეძლებს: • პროფესიული საქმიანობის დაგეგმვას პიროვნული თვისებების (აკურატულობა, პუნქტუალობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ა.შ.) საფუძველზე; • ქვეყნის ინტერესების სამსახურში დგომას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებით; • სხვისი აზრის პატივისცემას დებატებში მონაწილეობისას; • ზოგადი ადამიანური ღირებულებების განსაზღვრასა და გაანალიზებას, სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის პატივისცემას. • ღირებულებების მიმართ საკუთარი და სხვისი დამოკიდებულებების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.
აკადემიური შედეგების მიღწევის მეთოდები		დისკუსიები/დებატები, გუნდური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება და ა.შ. სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
შეფასების სისტემა		თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის #1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია“ შესაბამისად; იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომის (სამაგისტრო ნაშრომის) დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი.

	შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 45% (45 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო. იუნკერთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.
დასაქმების სფეროები	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის ეთა-ს აკადემიური პროგრამების დამკვეთი და ეთა-ს კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებელი. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში, მრჩეველთა პოზიციებზე, თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სახელმწიფო

	ორგანიზაციებსა და სხვა სამთავრობო დეპარტამენტებში, რომლებსაც სჭირდებათ ექსპერტული ცოდნა სამხედრო სტრუქტურებთან, მიზნებთან და თავდაცვის მიმართულებთან დაკავშირებით და თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებში. სამხედრო სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია მიმართულებების დადგენასა და განხორციელებაში: თავდაცვის უსაფრთხოების საკითხებში, კონტრტერორისტულ პოლიტიკაში და სხვა. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, თავდაცვის უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სწავლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.
აკადემიური პროგრამის განხორციელების ინფრასტრუქტურა	პროგრამა ხორციელდება სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაზაზე, სადაც განლაგებულია სასწავლო და დამხმარე დანიშნულების შემდეგი შენობა–ნაგებობები: თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა (ბეჭდური და ელექტრონული ფონდით), აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული რესურს–ცენტრები, სიმულაციური ცენტრი, სამხედრო პოლიგონი, სპორტული დარბაზი, სავარჯიშო დარბაზი, სარბენი ბილიკები, რეკრეაციული ცენტრი, სასადილო, ლაზარეთი და სხვ. ეროვნული თავდაცვის აკადემიის თითოეული სასწავლო კორპუსი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, როგორიცაა მერხი, დაფა, ვიდეო–პროექტორი, კომპიუტერები და სხვ. იუნკერთა სასწავლო და საოფისე ინვენტარით მომარაგების, კვების, განთავსების, სამხედრო აღჭურვის ხარჯების, აგრეთვე აკადემიური და სხვა მომსახურე პერსონალის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

აკადემიური პროგრამის წარმმართველი ადამიანური რესურსები	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მოქმედი კანონმდებლობისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსი: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები და სამხედრო და სამოქალაქო ინსტრუქტორები. **დანართი 3**
აკადემიური პროგრამის დამტკიცება	საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით: N 65 17.08.2017 N 83 27.09.2017
დამატებითი რეგულაციები	იუნკერის მიერ, სამეთაურო საშტაბო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმატებით გავლის და აღნიშნული პროგრამის კომპლექსური დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, მას მეორე სემესტრის დასასრულისათვის გადაეცემა სამეთაურო საშტაბო კურსის დიპლომი.

სასწავლო კურსის სტატუსი

N	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი
1	B	C

სასწავლო გეგმა

დანართი 1

№	სასწავლო კურსის დასახელება	სგნის კოდი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება										სწავლების სემესტრი				სტატუსი
				საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სულ საათების რაოდენობა							
				ლექცია	სემინარი	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკული მუშაობა	პრეზენტაცია	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა				I	II	III	IV	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები																
1	სამხედრო ოპერაციების წარმოების საფუძვლები	W100 2411	5	32	8	11		2	2	70	125		X				B
2	ლიდერობა და მენეჯმენტი	L100 2411	5	34	16	10		3	3	59	125		X				B
3	თავდაცვის დაგეგმვა, პროგრამირება და მენეჯმენტი	F 100 2412	5	20	28	12		2	2	61	125			X			B
4	სტაბილურობის შენარჩუნების და სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციები	S 100 2412	5	33	5	10		2	2	73	125			X			B

5	სამხედრო კამპანიების დაგეგმვა და აღსრულება	W400 2412	10	18		122		3	6	101	250	W100 2411		X			B
6	საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზი	IST100 2412	5	24	26			3	3	69	125		X				B
7	თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება	DNS100 2412	5	22	33			3	3	64	125			X			B
8	კომუნიკაცია	COM 100 2411	5	10		8		1	2	104	125		X				B
9	კვლევის მეთოდები და დიზაინი	RMD 100 2411	5	15	30			2	2	76	125		X				B
10	ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია	H 100 2411	5	36	18	8		3	3	57	125		X				B
11	ომის ტრანსფორმაცია - ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომები.	H 200 2412	5	28	14			3	3	77	125	H 100 2411		X			B
12	სამეცნიერო კვლევის პრაქტიკული სემინარი	DIR2423	15	15	27			3	3	327	375	RMD 2411			X		B
13	სამაგისტრო ნაშრომი	MA 2414	30		30				1	719	750	წინა სემესტრებში გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები				X	B
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები*																
14	ბატალიონის ოპერაციები	W200 2421	5	44		56		2	2	21	125	W100 2411	X				C
15	ბრიგადის ოპერაციები	W300 2422	10	36		168		2	2	42	250	W100 2411		X			C
16	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა	IPE 100 2421	5	15	10	4	1	1	2	92	125		X				C
17	სამხედრო სტრატეგიული ანალიზი	MSA 100 2421	5	14	10			2	4	95	125			X			C
18	საგარეო პოლიტიკის	IR 100 2422	5	28	14			2	3	78	125			X			C

	ანალიზი და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ჩარჩო																
19	ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	EUS 100 2423	5	13	13			2	3	94	125			X			C
20	საერთაშორისო კონფლიქტები	CON 100 2411	5	14	14			2	3	92	125		X				C
21	სამშვიდობო პროცესები	PP 100 2413	5	14	14			2	3	92	125			X			C
	სულ:										3750		45	60	15	30	

* I სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებულია 5 კრედიტი
II სემესტრში არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებულია 10 კრედიტი

დანართი 2

სწავლის შედეგების რუკა

N	სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულე-ბები
I	**სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები**						
1.	სამხედრო ოპერაციების წარმოების საფუძვლები	x	x	x	x	x	x
2.	ლიდერობა და მენეჯმენტი	x	x	x	x		x
3.	თავდაცვის დაგეგმვა, პროგრამირება და მენეჯმენტი	x	x	x	x		
4.	სტაბილურობის შენარჩუნების და სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციები	x	x	x	x	x	x
5.	სამხედრო კამპანიების დაგეგმვა და აღსრულება	x	x	x	x	x	x
6.	საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზი	x	x	x	x		
7.	თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება	x	x	x	x	x	x
8.	კომუნიკაცია	x	x		x		
9.	კვლევის მეთოდები და დიზაინი	x	x	x	x	x	x
10.	ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია	x	x	x	x	x	x
11.	ომის ტრანსფორმაცია-ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომები	x	x	x	x	x	x
12.	სამეცნიერო კვლევის პრაქტიკული სემინარი	x	x	x	x	x	x
13.	სამაგისტრო ნაშრომი	x	x	x	x	x	x
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები:						
1.	ბატალიონის ოპერაციები	x	x	x	x	x	x
2.	ბრიგადის ოპერაციები	x	x	x	x	x	x
3.	სამხედრო სტრატეგიული ანალიზი	x	x	x	x	x	
4.	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა	x	x	x	x	x	x
5.	საგარეო პოლიტიკის ანალიზი და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ჩარჩო	x	x	x	x	x	x
6.	ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	x	x	x	x	x	x
7.	საერთაშორისო კონფლიქტები	x	x	x	x	x	x
8.	სამშვიდობო პროცესები	x	x	x	x	x	x

სილაბუსის ავტორი /პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

I	სასწავლო კურსები	სილაბუსის ავტორის/განმახორციელებელის (სახელი, გვარი)	აკადემიური თანამდებობა/მოწვეული პროფესორი/ მასწავლებელი/ინსტრუქტორი	აკადემიური კვალიფიკაცია
1.	სამხედრო ოპერაციების წარმოების საფუძვლები	ვიცე-პოლკოვნიკი გრიგოლია დევიდ ფრუ	კურსის უფროსი CUBIC მრჩეველი	მაგისტრი მაგისტრი
2.	ლიდერობა და მენეჯმენტი	ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლაიშვილი დევიდ ფრუ	კურსის უფროსი CUBIC მრჩეველი	მაგისტრი მაგისტრი
3.	თავდაცვის დაგეგმვა, პროგრამირება და მენეჯმენტი	ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლაიშვილი დევიდ ფრუ	კურსის უფროსი CUBIC მრჩეველი	მაგისტრი მაგისტრი
4.	სტაბილურობის შენარჩუნების და სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციები	ვიცე-პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი დევიდ ფრუ	კოლეჯის მეთაურის მოადგილე CUBIC მრჩეველი	მაგისტრი მაგისტრი
5.	სამხედრო კამპანიების დაგეგმვა და აღსრულება	ვიცე პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი დევიდ ფრუ	კოლეჯის მეთაურის მოადგილე CUBIC მრჩეველი	მაგისტრი მაგისტრი
6.	საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზი	ვიცე პოლკოვნიკი რაზმაძე	კურსის უფროსი	მაგისტრი
7.	თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება	ვიცე პოლკოვნიკი რაზმაძე	კურსის უფროსი	მაგისტრი
8.	კომუნიკაცია	ვიცე პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი	კოლეჯის უფროსის მოადგილე	მაგისტრი
9.	კვლევის მეთოდები და დიზაინი	ვიცე-პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი	კოლეჯის უფროსის მოადგილე	მაგისტრი
10.	ომის თეორია და სამხედრო ხელოვნების ისტორია	ვიცე-პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი არჩილ ჩაჩხიანი	კოლეჯის მეთაურის მოადგილე პროფესორი	მაგისტრი დოქტორი
11.	ომის ტრანსფორმაცია - ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომები	ვიცე პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი არჩილ ჩაჩხიანი	კოლეჯის მეთაურის მოადგილე პროფესორი	მაგისტრი დოქტორი
12.	სამეცნიერო კვლევის პრაქტიკული სემინარი	ვიცე-პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი	კოლეჯის უფროსის მოადგილე	მაგისტრი

		მარიამ ფიფია	მოწვეული სპეციალისტი	მაგისტრი
13.	ბატალიონის ოპერაციები	ვიცე-პოლკოვნიკი გრიგოლია დევიდ ფრუ	კურსის უფროსი CUBIC მრჩეველი	მაგისტრი მაგისტრი
14.	ბრიგადის ოპერაციები	ვიცე-პოლკოვნიკი გრიგოლია დევიდ ფრუ	კურსის უფროსი CUBIC მრჩეველი	მაგისტრი მაგისტრი
15.	სამხედრო სტრატეგიული ანალიზი	გიორგი ხელაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	დოქტორი
16.	საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა	შოთა ვეშაპიძე	პროფესორი	დოქტორი
17.	საგარეო პოლიტიკის ანალიზი და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ჩარჩო	ვიცე-პოლკოვნიკი ლეკვეიშვილი მარიამ ფიფია	კოლეჯის მეთაურის მოადგილე მოწვეული სპეციალისტი	მაგისტრი მაგისტრი
18.	სამშვიდობო პროცესები	ნიკოლოზ სამხარაძე	პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელი	დოქტორი
19.	ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	ნიკოლოზ სამხარაძე	პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელი	დოქტორი
20.	საერთაშორისო კონფლიქტები	ნიკოლოზ სამხარაძე	პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელი	დოქტორი
21.	სამაგისტრო ნაშრომი			